მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

შპს „ფარმვეი საქართველო 2023-2 ოპკოს“ მიერ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ნუშის ბაღის სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ

5 მარტი, 2025

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ნუშის ბაღის გაშენების პროექტი უნდა დაექვემდებაროს, სულ მცირე, სკრინინგის პროცედურას და შემდგომ, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ნუშის ბაღის სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ სამელიორაციო სისტემის მოწყობა მხოლოდ ნაწილია დიდი პროექტისა, რომელიც ამავე ანგარიშის თანახმად, გულისხმობს კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე 250 ჰა ფართობის მიწაზე ნუშის ბაღის გაშენებას და ბაღის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობას. კერძოდ, პროექტი ითვალისწინებს:

- ნუშის ბაღის გაშენებას 230 ჰა-ზე; „ქართული და ესპანური ჯიშის“ დაახლოებით 180 000 ნუშის ნერგის დარგვას, რომელიც სრულ მსხმოიარობას 4-6 წელიწადში მიაღწევს. „მსხმოიარობაში შესვლის დროს ბაღის წარმადობა იქნება დაახლოებით 2 ტონა/ჰექტარზე“. გზშ ანგარიშიდან არ არის ნათელი ბაღის გაშენების ტექნოლოგიური ციკლი. ნახსენებია, მხოლოდ, რომ ბაღი გაშენდება ე.წ. „საერთაშორისო სტანდარტების“ გათვალისწინებით (ამ საკითხზე, ქვემოთ, დამატებით ვისაუბრებთ).

- ნუშის ბაღისთვის წვეთოვანი სამელიორაციო სისტემის მოწყობას, მათ შორის, დაახლოებით 35 ათასი კუბური მეტრის მოცულობის წყლის სამარაგო რეზერვუარის მოწყობას, რომელიც პერიოდულად შეივსება მდინარე ივრიდან. ამისათვის, პროექტი ითვალისწინებს მდინარიდან წყალაღებისთვის განკუთვნილი ტუმბოებისა და 8 კმ-მდე სიგრძის მილსადენის განთავსებას (პროექტით, ყველა ტუმბო და მილსადენის ნაწილი ექცევა ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიაზე).

  სამელიორაციო სისტემა, ასევე, მოიცავს წყალში სასუქების შემრევ და საფილტრაციო სისტემებს, რომლებიც სამარაგო რეზერვუარის გვერდით

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

შენობაში მოეწყობა. ამასთან, ბაღის ტერიტორია დაიქსელება, სხვადასხვა დიამეტრის მქონე პოლიეთილენის მილებით;

- სამელიორაციო სისტემის ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად, პროექტი ითვალისწინებს ტუმბოების სიახლოვეს მზის პანელების განთავსებას. მზის პანელები ტუმბოებს დაუკავშირდება 143 მ სიგრძის მქონე მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზით;

- „საპროექტო ტერიტორიაზე, დაახლოებით 300 კვ. მ ფართობზე, დაგეგმილია მსუბუქი კონსტრუქციის მქონე დამხმარე შენობა-ნაგებობების მოწყობა, რომელიც გამოყენებული იქნება მუშა-პერსონალის მოსასვენებლად, მიღებული მოსავლის დასასაწყობებლად, სასუქების საწყობად და სხვა მიზნებისთვის.“.

როგორც ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან ჩანს, პროექტის ძირითადი კომპონენტია ნუშის ბაღის გაშენება და სხვა კომპონენტები ბაღის გაშენების და ფუნქციონირების მიზანს ემსახურება: ნუშის ბაღის გაშენებისთვის აუცილებელია წყალი („გამომდინარე იქიდან, რომ ნუში განსაკუთრებით მომთხოვნია წყლის მიმართ, ნერგის სრულყოფილი განვითარების მიზნით, მის მორწყვას წლის გვალვიან პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“ - გზშ ანგარიში, გვ. 22); წყლის მიწოდებისთვის კი - ელექტროენერგია (რომლის გამომუშავება დაგეგმილია მზის პანელებით). ამასთან, სამელიორაციო სისტემის არსებობა, პროექტის ძირითადი კომპონენტის გარეშე, უბრალოდ, აზრს მოკლებულია.

ისმის კითხვა: უნდა დაექვემდებაროს, თუ არა ნუშის ბაღის ბაღის გაშენების პროექტი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრულ პროცედურებს? ჩვენი აზრით, პროექტი ექცევა კოდექსის მეორე დანართით რეგულირებულ საქმიანობებში; კერძოდ, ის ითვალისწინებს არამარტო სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას (II დანართი, პუნქტი 1.3), არამედ „10 ჰექტარი ან მეტი ფართობის ყამირი მიწების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებას“ (II დანართი, პუნქტი 1.2) და ამდენად, უნდა დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას.

პროექტი აკმაყოფილებს კოდექსის II დანართის 1.2 პუნქტით დადგენილი საქმიანობის მახასიათებლებს: (ა) პროექტი 10 ჰექტარზე მეტ ტერიტორიას იკავებს; (ბ) მიწა გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და (გ) პროექტი ხორციელდება ყამირ მიწაზე (კოდექსი არ აკონკრეტებს მიწის მიმდინარე დანიშნულებას). ბოლო პუნქტზე უნდა აღვნიშნოთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (არც საქართველოს მიწის კანონმდებლობა) არ განმარტავს, როგორი მიწა შეიძლება ჩაითვალოს ყამირად; თუმცა, „ყამირის“ განმარტებას ვხვდებით განმარტებით ლექსიკონებში, სადაც „ყამირი“ განიმარტება როგორც: მიწა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არ დამუშავებულა; გაუტეხელი და დაუმუშავებელი მიწა.

ჩვენი არგუმენტების გასამყარებლად, ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მიწის „ყამირობა“ დადასტურდა 2025 წლის 14 თებერვალს ჩატარებულ საჯარო განხილვაში მონაწილე პირების მიერ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საპროექტო მიწა არასდროს დამუშავებულა (გატეხილა) და ძირითადად, გამოიყენებოდა საძოვრად (კომპანიამ მიწა 2023 წელს შეიძინა საძოვრის სტატუსით). აღნიშნული დასტურდება გზშ ანგარიშიდანაც, სადაც კომპანია თავად აღნიშნავს, რომ საპროექტო მიწას ჰქონდა საძოვრის სტატუსი და მისი მოთხოვნით, მიწა უფრო მაღალი ინტენსივობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიაში - სახნავში - იქნა გადაყვანილი.

დამატებით, გასათვალისწინებელია, ასევე, როგორ არის მოხსენიებული ზემოაღნიშნული საქმიანობა (და ტერმინი „ყამირი“) ევროკავშირის შესაბამის დირექტივაში, ე.წ. გზშ დირექტივაში (Directive 2011/92/EU of the European Parliament and of the Council of 13 December 2011 on the assessment of the

effects of certain public and private projects on the environment). დირექტივის მეორე დანართში (სკრინინგს დაქვემდებარებულ საქმიანობებში ვხვდებით შემდეგს: ***Projects for the use of uncultivated land or semi-natural areas for intensive agricultural purposes*** (დაუმუშავებელი/არაკულტივირებული მიწის ან ნახევრად ბუნებრივი არეალების ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო მიზნებით გამოყენების პროექტები)[1].

აღსანიშნავია, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთისთვის კატეგორიის ცვლილებაზე გზშ ანგარიშში ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნა მოცემულია გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულ სკოპინგის დასკვნაშიც[2], თუმცა, პროექტის განმახორციელებელი ამ მოთხოვნას, ფაქტობრივად, პასუხს არ სცემს. ,,საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის - საბუკოს“ მოსაზრებებზე კომპანიის პასუხებში მოკლედ აღნიშნულია, რომ ეს კომპანიის მიწაა და მას სურს ნუშის ბაღის გაშენება. ამასთან, კომპანია, იქვე, კიდევ ერთხელ ავიწროებს მის მიერ დაგეგმილ საქმიანობას პროექტის ერთ კომპონენტამდე - სამელიორაციო სისტემის მოწყობამდე.

სკრინინგის აუცილებლობის დადგენის შემდეგ, აქ ვსვამთ კიდევ ერთ კითხვას: უნდა დაექვემდებაროს, თუ არა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ნუშის ბაღის გაშენების პროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასებას? - ჩვენი აზრით, უნდა დაექვემდებაროს და ამის საჭიროება ჩანს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ზემოაღნიშნული სკოპინგის დასკვნიდან, სადაც სამართლიანადაა მოთხოვნილი, რომ „გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია, სასუქებით ბაღის შეწამვლის შედეგად გამოწვეულ ზემოქმედებასთან დაკავშირებით, ბიომრავალფეროვნებაზე“. სამწუხაროდ, კომპანია პასუხს არ სცემს სკოპინგის დასკვნის ამ მოთხოვნას, გზშ ანგარიში შემოიფარგლება ზოგადი, მოკლე და უსაგნო განმარტებებით (იხ. გვ. 102 და გვ. 105).

ზოგადად, კომპანია, ცდილობს, არ შეეხოს ნუშის ბაღის გაშენებისა და ფუნქციონირების დეტალებს და გარემოზე შესაძლო ზეგავლენის საკითხებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გზშ ანგარიშის დასაწყისში ნათქვამია, რომ ბაღი გაშენდება ე.წ. „საერთაშორისო სტანდარტების“ გათვალისწინებით, თუმცა, არ არის განმარტებული, კონკრეტულად, რა პრაქტიკა იგულისხმება ასეთ სტანდარტებში. გზშ ანგარიშის დასასრულისკენ (გვ. 105), სასუქების გამოყენების შესაძლო ზეგავლენაზე პასუხის გაცემისას, კომპანია კვლავ ჯიუტად იმეორებს, რომ პროექტი ეხება მხოლოდ სამელიორაციო სისტემის მოწყობას და „მასში განხილული არ არის ნუშის ბაღების მოვლა-პატრონობის ტექნოლოგია“.

იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნა, რა პრაქტიკის გამოყენებას აპირებს კომპანია ბაღის გაშენებისას და ფუნქციონირებისას (ასევე, შესაძლო ზეგავლენის სახეების დასადგენად), შევეცადეთ, მოგვეძიებინა ინფორმაცია კომპანიის მიერ წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტების შესახებ. სამწუხაროდ, ზუსტი ინფორმაციის მოძიება ვერ შევძელით, თუმცა, აღმოვაჩინეთ სამი ვებგვერდი, რომლებიც, მათი დასახელებებიდან გამომდინარე, შესაძლოა, ასოცირებული იყოს შპს „ფარმვეი საქართველო 2023-2 ოპკოსთან“[3]. ქვემოთ, ჩანართში, უცვლელად წარმოგიდგენთ ერთ-ერთ ვებგვერდზე (https://farmway.ge/services/almonds/) განთავსებულ ინფორმაციას, სადაც მოცემულია კომპანიის მიერ შეთავაზებული ერთ-ერთი სერვისი - სუპერინტენსიური ნუშის ბაღები.

[1] საქმიანობის განმარტებისთვის, დამატებით შეგიძლიათ იხილოთ: European Union, 2024, *Interpretation of definitions of project categories of annex I and II of the EIA Directive*. Directorate-General for Environment (European Commission).

[2] დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. არხილოსკალოში, შპს ,,ფარმვეი საქართველო 2023-2 ოპკოს“ სამელიორაციო სისტემისა და 35 000 მ3 მოცულობის წყალშემკრები ჰიდროტექნიკური ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა #58

[3] (1) https://farmway.io/ (2) https://farmway.ge/ და (3) https://www.linkedin.com/company/farmway-inc/. პირველ ვებგვერდზე Farmway Team-ში მოხსენიებული პირების ნაწილი შპს „ფარმვეი საქართველო 2023-2 ოპკოში“ წილების მფლობელები არიან. აქვე, დაინტერესებული ინვესტორებისთვის მოცემულია მოკლე ინფორმაცია კახეთში ნუშის ბაღების პროექტების შესახებ.

სუპერინტენსიური ნუშის ბაღები

დღეს ნუში ერთ-ერთი მოთხოვნადი პროდუქტია მსოფლიოში და ეს მოთხოვნა წლიდან წლამდე იზრდება. სწორედ გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მსოფლიოში ლიდერმა სანერგე მეურნეობა Agromillora-მ სუპერინტენსიური მიდგომის მეთოდი ზეთისხილის შემდეგ ნუშზეც განახორციელა. გენეტიკური გაუმჯობესების პროგრამის შედეგად მიიღეს ისეთი საძირე (Rootpac 20), რომელზეც ნუშის დამყნობით ხე იზრდება 2,8 მ. ეს კი ტრადიციული ნუშისგან განსხვავებით ბევრ უპირატესობას იძლევა, ჰექტარზე მეტი ნერგი ირგვება, ხოლო პროცესი სრულად მექანიზებულია. სუპეინტენსიური ნუშის ბაღი სრულ მსხმოიარობაში შედის დარგვიდან მეოთხე წელს. 2010 წლიდან დაიწყო სუპერინტენსიური ნუშის ხის პლანტაციების განვითარება, რათა თავიდან აეცილებინათ ტრადიციული სისტემების შედეგად გამოწვეული პრობლემები. ამჟამად მსოფლიოში 3500 ჰექტარზე მეტი სუპერინტენსიური ნუშის ბაღია გაშენებული და ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: ესპანეთი, პორტუგალია, იტალია, აშშ, მაროკო, ტუნისი, ჩილე, თურქეთი და ახლა უკვე საქართველო.

სუპერინტენსიური ნუშის კულტურების მახასიათებლები

- სუპერინტენსიური ბაღის გაშენება Smarttree – ს (ჭკვიანიხის) გამოყენებით.
- ლაბორატორიული მეთოდით გამოყვანილი **Agromillora**-ს პატენტი Rootpac 20.
- მაღალი თავსებადობა ნუშის ტრადიციულ ჯიშებთან.
- დარგვის მახასიათებლები (3–3.5 x 1–1.2 მ). 2,000-ზე მეტი ნერგი 1 ჰექტარზე.
- დარგვის მიმართულება ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ.
- მოსავლის აღება კომბაინით.
- სრულად მექანიზებული სხვლა.

ძირითადი ფაქტორები

- **Smarttree** არის ნერგი, რომელიც სუპერინტენსიური პლანტაციისთის არის შექმნილი.
- **გენეტიკური მასალა: Rootpac 20** არის ქლიავის საძირე, რომელზეც შესაძლებელია ნუშის ჯიშების დამყნობა. ის არის შესანიშნავი ალტერნატივა, რომელიც უზრუნველყოფს დაბალმზარდობას, აუმჯობესებს ჰექტარზე მიღებულ მოსავლიანობას და ამარტივებს მოვლასთან დაკავშირებულ ყველა პროცესს.
- **გამწვანების ნიმუში** 3-3,5მ რიგებს შორის და 1-1,2 მ ნერგებს შორის (2000-ზე მეტი მცენარე 1 ჰექტარზე). თითო ნერგზე საჭიროა ხის (ბამბუკის) ერთი სამაგრი.
- **არის თვითდამტვერვადი და გვიანყვავილობადი,** ამიტომ თავსებადია ისეთი რეგიონებისთვის, სადაც ხშირია გაზაფხულის ადრეული ყინვები.

უპირატესობები:

- **სრულად მექანიზებული პროცესი დარგვის მომენტიდან**, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ხარჯებს და შრომას.
- **სრულად მექანიზებულია მოსავლის აღებაც**, რასაც გაცილებით ნაკლები დრო სჭირდება.
- **დარგვიდან მე-3 წელს მოსავლის ნახევარს იღებთ,** მე-4 წელს კი სრულად შედის მსხმოიარობაში. ეს კი ჩადებული ინვესტიციის სწრაფად ამოღების გარანტიაა.
- **ნაკლები მუშახელი,** რაც სულ უფრო მწირი და ძვირი ხდება.
- **ნაყოფის უკეთესი ხარისხი,** რასაც მოსავლის მექანიზებული აღება განაპირობებს. ნაყოფი იკრიფება პირდაპირ ხიდან და არ იყრება მიწაზე.
- **ხარობს შედარებითთ მარილიან ნიადაგშიც** განსხვავებული ფესვთა სისტემის გამო.

- ავიხორი: ყვავილობს გვიან
- გუარა: ყვავილობს გვიან
- სოლეტა: ყვავილობს გუარაზე 3 დღით ადრე
- პენტა: ყვავილობს ძალიან გვიან
- ვიალფასი: ყვავილობს ძალიან გვიან
- ბელონა: ყვავილობს გუარაზე 3 დღით ადრე

ზემოთ მოყვანილი ჩანართიდან ნათელია, რომ თუ კომპანია „ფარმვეი საქართველო 2023-2 ოპკო“ აპირებს ჩანართში აღწერილი პრაქტიკის გამოყენებით ნუშის ბაღის გაშენებას ყამირ მიწაზე და თანაც, ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ ტერიტორიაზე (თუ მის სიახლოვეს), ასეთ პროექტს, შესაძლოა, მოჰყვეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე (შესაძლოა, შეუქცევადიც კი). ამ გარემოებების გამო, ნუშის ბაღის გაშენების პროექტი, სულ მცირე, საჭიროებს სკრინინგის პროცედურის ჩატარებას, რათა დადგინდეს, რა პრაქტიკის გამოყენებას გეგმავს კომპანია ნუშის ბაღის გაშენებისას და შემდგომ, ფუნქციონირებისას, და შესაბამისად, გამოვლინდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროება.

ზემოაღნიშნული პროცედურის გავლა, ასევე, მნიშვნელოვანია იმ შეცდომის გამოსასწორებლად, რომელიც დაშვებული იყო საქართველოს სასაზღვრო პოლიციისგან მოსაზრების მიღებისას. კერძოდ, გზშ ანგარიშში მოყვანილ, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 2024 წლის 21 ივნისის წერილში, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე აღნიშნავს, რომ „წვეთოვანი სამელიორაციო სისტემის მოწყობა და საჭირო წყლის მდინარე იორიდან აღება, საქართველოს სასაზღვრო პოლიციისთვის არ გახდება ხელისშემშლელი ფაქტორი სახელმწიფო საზღვრის ფიზიკური და ტექნიკური დაცვისათვის“. აღნიშნულ წერილში, როგორც ვხედავთ, სასაზღვრო პოლიცია აზრს გამოთქვამს წვეთოვან სამელიორაციო სისტემაზე და არა ნუშის ბაღის მოშენებასა და ფუნქციონირებაზე. ეს უკანასკნელი, თავისი ხასიათით და სამუშაოთა ინტენსივობით, შესაძლოა, ხელს უშლიდეს სახელმწიფო საზღვრის ფიზიკურ და ტექნიკურ დაცვას. ამდენად, ჩვენი აზრით, აუცილებელია საქართველოს სასაზღვრო პოლიციასთან ხელახალი კონსულტაცია სრული პროექტის თაობაზე.

მიგვაჩნია, რომ შპს „ფარმვეი საქართველო 2023-2 ოპკოს მიერ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ნუშის ბაღის გაშენების პროექტის ნებისმიერი კომპონენტის დაწყება (მათ შორის, მაგალითად, ნერგების დარგვა), კანონმდებლობით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურის გავლის გარეშე, უნდა ჩაითვალოს უკანონოდ და მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება.

აქვე, ყურადსაღებია, რომ კომპანიამ უკვე დაიწყო რეზერვუარის მოწყობის სამუშაოების წარმოება ისე, რომ არ ჰქონდა გავლილი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გავლილი პროცედურები. ა.წ. 14 თებერვალს ჩატარებულ გზშ ანგარიშის საჯარო განხილვაზე, კომპანიის წარმომადგენელმა მის მიერ ჩადენილი კანონდარღვევა ახსნა იმ გარემოებით, რომ თითქოს, სამუშაოთა დაწყების სიჩქარე განპირობებული იყო სოფლის განვითარების სააგენტოს „დანერგე მომავლის“ პროგრამით აღებული ვალდებულებების დროული შესრულების აუცილებლობით. ამ თემაზე დამაზუსტებელ კითხვებზე პასუხის გაცემისას, აღმოჩნდა, რომ კომპანიას ჯერ არ აქვს მიღებული დაფინანსება პროგრამიდან „დანერგე მომავალი“ და ამ დაფინანსებას მიიღებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გააშენებს ბაღს და მოაწყობს სარწყავ სისტემას (და ეს დადასტურდება აუდიტით). გამოდის, კომპანია გამიზნულად ატყუებს გარემოს ეროვნულ სააგენტოს, როდესაც გზშ ანგარიშში აღნიშნავს, რომ „ნუშის ბაღის გაშენების პროექტი ხორციელდება სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს, დანერგე მომავლის პროგრამის მხარდაჭერით და თანადაფინანსებით.“ (იხ. გვ.5).

2. 2025 წლის 14 თებერვალს ჩატარებული საჯარო განხილვა

როგორც თქვენთვის ცნობილია, ნუშის ბაღის სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა ა.წ. 14 თებერვალს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარდა. უნდა აღინიშნოს, რომ სივრცე, სადაც ჩატარდა საჯარო განხილვა, იყო ყოვლად შეუფერებელი შეხვედრისთვის. ოთახის სიმცირისა და სკამების არარსებობის გამო, საჯარო განხილვაში მონაწილე 16 კაციდან ნაწილი ფეხზე იდგა. მართალია, საჯარო განხილვის ორგანიზება (ისევე როგორც, ზოგადად, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა) გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების

ცენტრის კომპეტენციას განეკუთვნება, მაგრამ ცენტრი და გარემოს ეროვნული სააგენტო ერთობლივად არიან პასუხისმგებელი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამართულობაზე; ცენტრისა და სააგენტოს ვალდებულებები ურთიერთდაკავშირებულია და ამდენად, მოგმართავთ თხოვნით, მონიტორინგი გაუწიოთ ცენტრის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად გატარებულ ღონისძიებებს.